

ორწლიანი პაუზის შემდეგ აფხაზეთში არაღიარებული რესპუბლიკის ექსპრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ჩავიდა.

აღნიშნული გარემოება დამაბულობას შემატებს საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც ა.წ. 12 მარტს ჩატარდება მწვავე კონკურენციის პირობებში (ერთ სადეპუტატო მანდატზე საშუალოდ 6-8 კანდიდატი იყრის კენჭს).

„Анзазия-Информ“-ის ცნობით, ალექსანდრე ანქვაბი ქ. გუდაუთის (რომლის მცხოვრებად ითვლება) საარჩევნო ოლქში იყრის კენჭს, სადაც მას ოთხი კონკურენტი ეყოლება.

ალექსანდრე ანქვაბის პარლამენტში მოხვედრის შანსი დიდია. ექსპრეზიდენტი უდავოდ პოლიტიკური ფიგურაა, რაც აძლევს მას შესაძლებლობას იდეოლოგიური კუთხით ქონდეს ამომრჩევლის იმედი. ამას ემატება ის, რომ აფხაზეთის ყოფილ ლიდერს ბევრი მომხრე ჰყავს და აფხაზეთის სპეციფიკის გათვალისწინებით კარგად აწყობილ პროპაგანდისტულ მანქანას ფლობს.

სავარაუდოდ, მომავალ არჩევნებში მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ნათესაობრივი მხარდაჭერა ითამაშებს, რაც გარდაუვალია ქვეყანაში, სადაც არჩევნებმა საბოლოო დეგრადაცია განიცადა და უფრო მეტად სპორტულ შეჯიბრებას დაემსგავსა. მოიგებს ის, ვინც უკეთ შეძლებს თავისი გარემოცვის მობილიზებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ამომრჩევლების მხარდაჭერას.

ამ თვალსაზრისით ალექსანდრე ანქვაბის პოზიციები საკმაოდ მერყევია თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არ აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საშუალება.

მოცემულ რეალობაში მისთვის უმჯობესი იქნებოდა კენჭი ეყარა ქ. სოხუმის რომელიმე საარჩევნო უბანზე, რადგანაც ნათესაობრივი კავშირების გამოყენების ტექნოლოგია ქალაქში ნაკლებად გადამწყვეტ როლს თამაშობს ვიდრე პროვინციაში.

გასათვალისწინებელია, რომ ქ. სოხუმში ექსპრეზიდენტს ბევრი ძლიერი კონკურენტი ჰყავს. მათ შორის ყოფილი ვიცე-პრემიერი შამილ აძინბა. ამის მიუხედავად, ბოლო მომენტში, შესაძლოა ალექსანდრე ანქვაბმა შეცვალოს თავისი გეგმები და კენჭი იყაროს დედაქალაქში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ყოფილი ლიდერი პოლიტიკურ ფანდს იყენებს, მას არ უნდა ადმინისტრაციული რესურსი მის წინააღმდეგ ნაადრევად იყოს ამოქმედებული. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არჩევნები მისთვის არ იქნება იოლი.

ანქვაბი აფხაზეთში კვირას, 19 თებერვალს ჩავიდა. მისი მოსკოვიდან გამომგზავრების ფოტოები სოციალურ ქსელებშია გავრცელებული.

უდავოა, რომ აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) დეპუტატობა დაბალი საფეხურია პოლიტიკოსისთვის, რომელიც უკვე იყო ქვეყნის პირველი პირი. ალექსანდრე ანქვაბის სტრატეგიის შესახებ ცნობილი გახდა მისი უახლოესი გარემოცვიდან გამოჟონილი ინფორმაციის მეშვეობით. მიზანი არის აფხაზეთის პარლამენტის სპიკერობა რაც რაულ ხაჯიმბას იმპიჩმენტისთვის საჭირო საკანონმდებლო პროცედურების ჩატარების შესაძლებლობას მისცემს.

დღევანდელი დღისთვის ანქვაბი 64 წლისაა, მაგრამ შესაშური ენერგიით გამოირჩევა. აფხაზეთის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში, ასაკობრივი ცენზის გამო (65 წლის ასაკი), ექსპრეზიდენტი მონაწილეობის მიღებას ვერ შესძლებს და ამიტომ მან ჩანაფიქრი - ხაჯიმბას ვადამდელი გადაყენება, ამ წლის ბოლომდე უნდა განახორციელოს.

შესაძლოა თვითონ ექსპრეზიდენტი ერთგვარ ილუზიებშია თავის პოტენციალთან მიმართებაში, რადგან მისი გეგმა პრაქტიკულად არარეალურია.

საქმე იმაშია, რომ , როდესაც ის 2014 წელს ტოვებდა აფხაზეთს, რესპუბლიკაში იყო ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა და ერთის კონსოლიდაციის შემთხვევაში არჩევნების მოგების დიდი შანსი არსებობდა. დღევანდელ დღეს სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია. პოლიტიკურ-ძალოვანი დაჯგუფებების ქაოსში ანქვაბი ერთერთი მათგანი იქნება და ის ვერ შესძლებს რამე მძლავრი კოალიციური გაერთიანების შექმნას.

ალექსანდრე ანქვაბი ჩქარობს და ამის შედეგად შეცდომებს უშვებს. მას უნდა გაეანალიზებინა გასული წლის დეკემბრის მოვლენები. მის დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ოპოზიციის ისეთ ფლანგთან, როგორცაა პარტია „ამცახარა“ და ისეთ პოლიტიკოსებთან, როგორცაა ასლან ბჯანია (ანქვაბის პრეზიდენტობისას აფხაზეთის უშიშოების საბჭოს ხელმძღვანელი) გაერთიანება. მაშინ, დეკემბერში, ოპოზიციამ სცადა მოეწყო გადატრიალება და რაულ ხაჯიმბას გადაეყენება, მაგრამ არ გაითვალისწინეს აფხაზეთის საზოგადოების დაღლილობა და უნდობლობა პოლიტიკოსებისადმი. შედეგად საპროტესტო აქციაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო რევოლუციური პროცესების დასაწყისი, ხალხი უბრალოდ არ მივიდა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რაზეც ახლა ვმსჯელობთ არის ცინიკური პოლიტიკა და ის არანაირ სტრატეგიას ქვეყნის განვითარებისთვის არ ქმნის. მთელი ეს პოლიტიკა არის მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური დაპირისპირების გამოხატულება, მისი მიზანი არის საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება, შურისძიება და მოწინააღმდეგის დასჯა.

ამ თვალსაზრისით, მართლები არიან ისინი, ვინც უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნების მიმართ. რასაკვირელია, ანქვაბს, როგორც აფხაზეთის მოქალაქეს აქვს უფლება მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკაში, მაგრამ ყველას ესმის, რომ ასეთი პოლიტიკა აფხაზეთისთვის დამანგრეველია. დამანგრეველია იმიტომ, რომ ანქვაბი არის ის ადამიანი, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში არცერთი მოსაზრება არ გამოთქვა აფხაზეთის შესახებ. მას უბრალოდ არ აინტერესებდა საზოგადოებასთან დიალოგი და იდეების გატანა, თუნდაც ისინი რაციონალური ან პოპულისტური ყოფილიყო. ანქვაბი ერთერთი იმ პოლიტიკოსთაგანია, რომელსაც შეუძლია თავის სიმულვილს სხვა ადამიანებისადმი დაარქვას პოლიტიკა და მისი აზრით ეს საკმარისია, რომ დაბრუნდეს პრეზიდენტის სავარძელში.

ამგვარად, მის გამოჩენას აფხაზეთში ხალხი უარყოფითად შეხვდა არა იმიტომ, რომ უარი ეთქვათ მისთვის ყოფილიყო ქვეყნის მოქალაქე, არამედ იმიტომ, რომ ყველას ესმის - მის გაპრეზიდენტებას მოჰყვება უსასრულო კრიზისი, რომელიც გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 27 მაისს, მაშინ, როდესაც საზოგადოების საპროტესტო ზეწოლის შედეგად ანქვაბს მოუწია ადმინისტრაციის შენობის დატოვება, მან თავი შეაფარა გუდაუთასთან დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზას.

ექს-პრეზიდენტი თვითონვე გახდა ქვეყნის დეგრადაციის მსხვერპლი, მაგრამ მან გაიაზრა თავისი გადადგომა, როგორც ტაქტიკური დამარცხება თავის ოპონენტებთან.

თუ შევეცდებით ვიპოვოთ რამე იდეოლოგიური პლატფორმა, რომელზე დაყრდნობითაც არის შესაძლებელი ანქვაბის ხელისუფლებაში დაბრუნება, ერთადერთი ლოზუნგი, რომელიც მას და მის მომხრეებს შეუძლიათ შესთავაზონ საზოგადოებას არის „მის დროს უკეთესი ცხოვრება იყო“.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყოფილი პრეზიდენტის აქტივს მიაწერენ სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას, რომლებიც 100 %-იანი რუსეთის დაფინანსებით ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროექტი ძალიან ცუდადაა რეალიზებული. აგრეთვე იყო პროექტები, რომელთა არსებობა მხოლოდ თანხების გადაქაჩვას ემსახურებოდა.

ალექსანდრე ანქვაბი, როგორც გამოცდილი ბიუროკრატი კარგად ფლობს აპარატული ლობიზმის ნიუანსებს. მისი მდგომარეობა უიმედოა, მაგრამ როგორც ჩანს ექს-პრეზიდენტს

თავისი გამოცდილების სჯერა და უცხო ქვეყნების მიერ აფხაზეთის დაფინანსების იმედი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომ წარმოვიდგინოთ შეუძლებელი და მან შესძლოს რაულ ხაჯიმბას შეცვლა, მას მაინც არ ექნება ფინანსური რესურსი საკუთარი თავის ხელისუფლებაში შესანარჩუნებლად.

სინამდვილეში ანქვას დაფინანსების წყაროები არ გააჩნია. ხელისუფლების ჩუქებას მისთვის არავინ არ აპირებს. აქედან გამომდინარე, მისი პოტენციალით და ფინანსური შესაძლებლობით ის მხოლოდ ხელისუფლების ნავის სერიოზულად შერყევას შესძლებს და ღმერთმა ქნას, რომ ეს ნავი, რომელსაც ფსკერი ისედაც დაზიანებული აქვს, არ გადაბრუნდეს.

ავტორი: ჟურნალისტი ანტონ კრავენიუკი

14.02.2017 <https://eodaily.com/ru/news/2017/02/14/nerealnyy-plan-ankvaba-vozglavit-parlament-smestit-prezidenta>